# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 58 | კვირა, 15 სექტემბერი 1902 წ. | გაზეთის № 1925


* * *

(ჰეინედან)

ტურფა ხარ ვით ოცნება,
ანგელოზივით სრული;
მინდა შენ დაგემონო,
შენთვის დავლიო სული.

**

ეშხით სავსე თვალები
ნაზ სხივსა მფენს ვით მთვარე.
ტანჯვას არად მივიჩნევ,
ოღონდ შენ შემიყვარე.

**

გონს შემშლელი ღოყები—
ციაგ ვარდს შესადარი;
სჩანს მარჯნის ტუჩებიდგან
„ბროლ ბადახშ მინანქარი."

**

ნეტავ რა შეედრება
შენს სპეტაკს ბროლის მკერდსა,
როცა მას გულის ცემა
ამოძრავებს-არხევსა?

**

ეშმაკი სიყვარული
გულში შემომეპარა,
როცა შენ გიყურებდი,
ანგელოზო პატარა.

სა.

# ჯამბაზი

ა. გ. ზარინისა.

I

— ცუდად არის საქმე, ანეტა!—წარმოსთქვა პეტრე ხვასტოვმა, როდესაც შემოვიდა სასტუმროს პატარა, ნახევრად ჩამობნელებულსა და ყოვლად ბინძურს ოთახში.

ახალ-გაზდა ქალმა, რომელიც ძუძუ-მწოვარა ბავშვით ხელში ფანჯარასთან იჯდა, მიმქრალი თვალები მიაპყრო პეტრეს.

— რა იყო? კიდევ მოხდა რამე?

პეტრე ხვასტოვმა დაავდო ქუდი იქვე საწოლზე და ცოლის ახლო სკამზე ჩამოჯდა. ხელში ეჭირა ჩითის ხელსახოცი, რომლითაც სახეზე ოფლს იწმენდდა.

— დიახ, კიდევ მოხდა —წარმოსთქვა პეტრემ : — ყველაზე უარესი ის არის, რომ ბაღში არ მიშვებენ. ადმინისტრაცია მიკრძალავს მოედანზე პალოების ჩარჭობას:—„ისიც გეყოფა, რომ ბოძების ჩარჭობის ნებას გაძლევთ და ადგილს გაფუჭებინებთო", — მითხრეს... მეტი ღონე არ არის, მაინც მოედანზე უნდა გავმართო.



დასავლეთი საქართველო.—გელათის მონასტერი.

პეტრე გაჩუმდა.

— მაშ რას იზამ?—ჰკითხა შემკრთალმა ანეტამ.

— რასა? ისევ კაცები უნდა დავიქირავო და პალოების ადგილას დავაყენო, აი, როგორც „ბოლდინეში!"

— საშინელებაა, პეტრე, საშინელება!—ოხვრით დაუმატა ანეტამ.

— ვიცი, ვიცი, რომ საშინელებაა, მაგრამ რა ვქნა?... თავის დანებება არ შეიძლება... ხომ იცი, რა უხვი მაყურებლები დაიარებიან ჩვენსას!—სთქვა ესა და მწარედ ჩაიცინა.

— მაინცა და მაინც შემოსავალი ხომ არის ხოლმე!—გაუბედავად შენიშნა ანეტამ.

— შემოსავალიც არის და შემოსავალიც! ბაღში თითო სულზე თითო აბაზს ავიღებ, აქ კი ელოდე, ვინ რას მოგცემს. ზოგი თითო შაურს მოგაჩეჩებს, ზოგი კიდევ ორ კაპეიკსაც არ გაიმეტებს.

პეტრემ ქუდს დაავლო ხელი და ფეხზე წამოდგა.

— სად მიხვალ?

— კაცები უნდა მოვძებნო და დავიქირავო... აფიშები უკვე გაკრულია ხვალისათვის...

ამ სიტყვებით გარედ გავიდა. ახალ-გაზდა ქალი მარტო დარჩა. წამოდგა ფრთხილად, დააწვინა მძინარე ბავშვი იქვე სარეცელზე და თვითონაც ჩაფიქრებული ნაპირას ჩამოჯდა.

ყოველ წარმოდგენის წინ ანეტას გულს რაღაც გრძნობა ჰქეჯნიდა და უღრღნიდა. აი ეხლაც... პალოების დასობა აუკრძალა ადმინისტრაციამ... მაშასადამე, იმისი სიცოცხლე ოცდაოთხ კაცზეა დამოკიდებული.

პეტრეს უნდოდა ანტრეპრენერი გამხდარიყო, სამუდამოდ მიეტოვებინა დაწყევლილი თოკი და ხელი მიეყო „მუზეუმის" ან „პანორამის" გაწყობისათვის. მაგრამ ოცნება ხომ ყოველთვის ოცნებადვე რჩება!.. პეტრე დღევანდლამდის თავს თოკზე სიარულით ირჩენს. დიდ ბედნიერებად მიაჩნია, თუ რომელსამე ქალაქში „გასტროლიორად" მიიწვევენ.

როდესაც პეტრე მარტო იყო, უცოლო, არა უჭირდა-რა, სიღარიბეს არა ჰგრძნობდა, მაგრამ ეხლა სამნი არიან...

ანეტას მოაგონდა ის წუთი, როდესაც პატარა ბავშვი გაუჩნდათ და როდესაც პეტრემ თავისი ბადე ოცდა ხუთ მანეთად გაჰყიდა, ის ბადე, რომელიც პეტრეს და იმასთან ერთად იმის ცოლშვილის სიცოცხლეს იფარავდა...

ანეტას პეტრე ძლიერ უყვარდა. ახალგაზდა ქალი თითქმის აღმერთებდა ქმარს. მაგრამ სულის სიმშვიდეს ურღვევდა ის ფიქრი, რომ ძვირფასი პეტრე ყოველთვის თოკზე უნდა ავიდეს, რვა-ათ საჟენის სიმაღლეზე. თვითონ პეტრემაც კარგად იცის, რომ თუ გადმოვარდა, ათას ნაჭრად იქცევა... მაინც ჰბედავს ასვლას... მაშ რა ჰქნას?... ჭამა-სმა ხომ საჭიროა?..

ხან-და-ხან, ღამე, ანეტას საზარელი სიზმრები ძილს უფრთხობდნენ. ესიზმრებოდა პეტრე, თოკზე მყოფი გრძელის ხარიხით ხელში. ზოგჯერ მოეჩვენებოდა, ვითომც პეტრეს ფეხთ გაუსხლტა, ჩამოვარდა... „მეტად მძიმე სამუშაოა!—ჰფიქრობდა ანეტა:—განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გაგვიჭირდა სა-

ქმე... ბაღის დასაქირავებლად ფული არ არის... სამუდამოდ მივატოვო ხელობა, არ შეიძლება... რითი ვიცხოვროთ?... საჭიროა იქ გამოიჩინოს ოსტატობა, სადაც ხალხი სამთქნარებლად და სეირის საცქერად იყრის თავს“...

თოკზე ასვლამდე ცოლიცა და ქმარიც გარს უვლიან ხალხს, რომ ორიოდე გროში მოაგროვონ, — მოახერხებენ კი ყველასთან მისვლას?..

— ყველაფერი გათავებულია! — წარმოსთქვა პეტრემ მხნედ, როდესაც ოთახში შევიდა: — თოკები გავჭიმეთ... კაცებს მოველაპარაკე... ოცდაოთხი კაცი ექვს შაურობაზე დავიქირავე, საჭმელიც ჩვენია. ასე, თხუთმეტი მანეთი დაგვეხარჯება სულ... აფიშებიც გაკრულია... მხოლოდ დარზეა დამოკიდებული ხვალინდელი დღე.



დავით აღმაშენებლის აკლდამა გელათის მონასტერში

ამ სიტყვებით მივიდა ანეტასთან, დაჯდა იმის ახლოს და გადახედა მძინარე ბავშვს, რომელსაც ერთი ციცქნა თავი გვერდზე გადაეგდო, გაეშხლართა ფუნთუშა ხელ-ფეხი და მძინარე გმირის შეხედულება მიეღო.

— სძინავს ჩვენს ქრიჭინას! — ალერსით წაიჩურჩულა პეტრემ.

— ჰო, რაც შენ წახვედი...

— რა კეთილი ბავშვი გყავს!.. ღონიერი დადგება.

— შენა გგავს!

— თვალები შენი აქვს!

— დანარჩენი შენი!

— წარბებიც შენია!

— როგორ არა!

— გაუქშიე ბუზს ლოყიდან!

— ტსსსს.. გაალვიძებ.. ფრთხილად!

— გაუქშიე, ცოდოა!

— დამაცა... ქშუშ!

— გაფრინდა!

ბინდი ნელ-ნელა იცავდა იმათს ოთახს; ისინი ხელი-ხელ გადახვეულნი სარეცელზე ისხდნენ და თავიანთ ბავშვს ესაყვარლებოდნენ.

ანეტას კვალად გაურბინა თავში იმ ფიქრმა, რომ პეტრე ხელ-ახლა უნდა შეებრძოლოს სიცოცხლეს, და გული სევდით აევსო.



პარიზის სასამართლოში. სენ-რემი და მისი ვექილი.

— პეტრე, როდის მიატოვებ ამ საზიზღარს ხელობას? — ჰკითხა ქალმა.

— არასოდეს, არასოდეს! — ამოოხვრით მიუგო პეტრემ: — სხვა ხელობა არა ვიცირა... სწავლა გვიანლაა!

— იყიდე ბაღე...

— ბაღე სამოცი მანეთი ჰღირს, ისიც უვარგისი... მერე, ჩვენ ვინ მოგვაქვავა მაგდენი ფული... არა უშავსრა, საზოგადოებას უბადეოდ უფრო უყვარს თამაშობა. — და კვალად ამოიოხრა.

ანეტა ძლიერად ეკვროდა ქმარს, სიყვარულით შესცქეროდა იმის სახეს, მაგრამ ღამის სიბნელე ნებას არ აძლევდა გაერჩია იმის სახის მეტყველება.

აანთეს სანათი და მოითხოვეს სამოვარი.

— შენ უეჭველად ხვალ თვალ-ყური ადევნე კაცებს. — სთქვა პეტრემ მოსაქმე კაცის კილოთი.

— მე ყოველთვის თვალი მიჭირავს ხოლმე...

— საქმე ის არის, რომ ხვალისთვის თოკი თორმეტის საჟენის სიმაღლეზე ავწიე! — ანეტას ფერი ეცვალა.

— რადა, რისთვის?

— აქ შარშან ვენტური დადიოდა... ფეხებზედ პარკი ჰქონდა გაკეთებული და მაინც ცხრა საჟენის სიმაღლეზედ ადიოდა, გესმის ცხრა საჟენის სიმაღლეზედ!.. თუ ფულის შოვნა გინდა, ხალხი უნდა გააკვირვო... მეც ჯერ ხანჯლებით დავიწყებ და პარკებით გავათავებ.

ანეტა ჩუმად ქვითინებდა. პეტრემ წარბი შეიკრა.

— ანეტა, ნუ მიწუხებ გულს... რადა სტირი?.. შე უბედურო, ჯერ ხომ არ მომკვდარვარ.

ახოს-შირელი.

(დასასრული იქნება)

# ნარევი

**ახირებული ავადმყოფობა.** გერმანიის ერთ-ერთ კურორტში მისულა ავადმყოფი ქალი; თან მოსამსახურე ჰყოლია და თერთმეტი ზანდუკი ბარგი მიუტანია. ქალმა მოითხოვა თვლებიანი სავარძელი და უბრძანა უფროსს ექიმთან წაეყვანათ. ამ ქალს ბერლინის პროფესორისაგან წერილი ჰქონდა, სადაც მანდილოსნის ავადმყოფობა ნიშნობლივ იყო აწერილი. წერილი მეტად საყურადღებო ყოფილა და ამიტომ ორ ადგილას ლაქით იყო დაბეჭდილი. მივიდა ავადმყოფი ექიმთან თუ არა, დაუყოვნებლივ დაუწყო ჩივილი თავის თავზე. ექიმმაც მოთმინებით მოისმინა, მძიმედ თავი დაიქნია, ქალს მაჯა გაუსინჯა, მერე გული და ფილტვები; კიდევ მძიმედ თავი გააქნია და მწუხარებით თვალებში ჩააშტერდა ქალს. მერე წერილიც ჩამოართვა, სადაც ბერლინის პროფესორი დაწვრილებით სწერდა ქალის ავადმყოფობას. ორჯელ წაიკითხა და ბოლოს, როგორც იყო, წარმოსთქვა:

— თქვენი ავადმყოფობა საშიში არ არის, მაგრამ მძიმე კია, ამიტომ თქვენ გულმოდგინეთ უნდა შეუდგეთ წამლობას. დილის

ქქვს საათზე უნდა ადგეთ, უზმოზე უნდა ისეირნოთ, საუზმის შემდეგ დაისვენოთ და ამ დროს არც უნდა იკითხოთ რამე და არც ილაპარაკოთ. ყოველ სამ დღეში ერთხელ უნდა იბანაოთ მეორე საუზმის შემდეგ. მერე კვლავ უნდა შეისვენოთ. კარგად უნდა დაიცვათ ჭამასმის წეს-რიგი. ღვინო არ მიგეკარებათ. სადამოობით ორი საათის განმავლობაში შვედურის გიმნასტიკით უნდა ივარჯიშოთ; ამისათვის საჭირო იარაღებს მე მოგიმზადებთ. მერე ივახშმებთ: ერთ ნაჭერ ცივ ხორცს მიირთმევთ და ზედაც ერთ ჭიქა ცივ ჩაის დააყოლებთ. ცხრის ნახევარზედ უნდა ლოგინში მიბრძანდეთ.

— მერე ყველა ესენი რამდენხანს უნდა გაგრძელდეს, ბატონო ექიმო?

— სულ ცოტა—ორ თვეს მაინც. სამაგიეროდ ნახავთ, როგორ გამოვმრთელდებით; როგორი მადლობელი დამრჩებით მარტო თქვენკი არა, თქვენი მეუღლეც.

ბერლინის პროფესორი-კი აი რას სწერდა: „ერთი ლაზათიანად გაფცქვენით ბატის-თავი ქალი, მაგას სრულებით არაფერი არა სტკივა. მაგრამ ერთბაშად-კი ნუ გაფცქვნი—სულ სათითაოდ დააგლიჯე ბუმბული, რომ მაგისაგან თავ-მობეზრებულმა და სიცოცხლე-გამწარებულმა ქმარმა ორ თვეს მაინც მოისვენოს და თავისუფლად ამოისუნთქოს. ხომ მიხვდით?..“

# ტფილისის საბჭოს მოღვაწეობა



წყლის გამოყვანაზე ბევრი იმტვრიეს თავები, ბევრიც დახარჯეს, მცხოვრებლებს უხვად ექმნებათ სუფთა წყალიო, მაგრამ....



ქალაქის სასანიტარო საბჭომ აღიარა ის ფაქტი, რომ მტვრის მარჯვენა ტოტი ბინძურების ბუდეაო, მაგრამ....




სწავლა-განათლების წყურვილი დღითი-დღე იზრდება და მრავალი უმაწვილი აწყდება სკოლებს, რასაც ქალაქმა ყურადღება უნდა მიაქციოს, მაგრამ....




ღარიბთ ხშირად მიუმართავთ ქალაქის ექიმებისათვის დაპირებისამებრ უფასო რჩევა დახმარებისათვის, მაგრამ...



„ტრამვაი“ არსებობს მცხოვრებთა ჩქარა მიმოსვლის გასაადვილებლად, მაგრამ....




ხორცის საქალაქო დუქნები უნდა დაარსებულიყო ყასბების სიხარბის ასალაგმავად, მაგრამ....




ყველა საავადმყოფოში ავადმყოფს ჯერ სინჯავენ და მერე სენის მიხედვით უწერენ წამალს. ქალაქის საავადმყოფოშიაც ასე უნდა იყოს, მაგრამ...

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Сентября 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა)